2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობა თურქეთში და მისი შედეგები

კაპიტანი ხვიჩა ხოზრევანიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
იუნკერთა სასწავლო ბატალიონის S-3-ის ოფიცერი.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოც. მეცნიერებათა
ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო
საგამანათლებლო პროგრამის დოქტორანტი.

ხელმძღვანელი: **მაია კაპანაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი.
საქართველოსა და ირანის სამეცნიერო-ანალიტიკური
ცენტრის ხემძღვანელი.

აბსტრაქტი

თურქეთის პოლიტიკაში სამხედროები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. კერძოდ, ისინი აქტიურად ერეოდნენ თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის მიზეზი იყო ის, რომ ისინი ქემალიზმის იდეის ყველაზე აქტიურ დამცველად გამოდიოდნენ. მართალია თურქეთის რესპუბლიკა სეკულარული ქვეყანაა, მაგრამ მისი მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა მუსლიმია. აქიდან გამომდინარე თურქეთის პოლიტიკაში მუსტაფა ქემალის გარდაცვალების შემდეგ ძალიან მალე წინაპლანზე გამოვიდნენ მუსლიმური პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ცდილობდნენ ქვეყნის პოლიტიკაში თავის დამკვიდრებას და შესაბამისად, სეკულარიზმის შეზღუდვას. თურქი სამხედროები ვერ ეგუებოდნენ მუსლიმური პარტიების მცდელობებს, ხელში აეღოთ ძალაუფლება. ისინი როგორც ქემალიზმის იდეოლოგიის ერთგული დამცველები, ასეთ ხელისუფლებებს ძალით ამხობდნენ ხოლმე. მსგავსი შემთხვევა გასულ საუკუნეში თურქეთში 4-ჯერ მოხდა.

დღევანდელი თურქეთის მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია (სგპ) ზომიერი ისლამიზმის გამტარებელია. აქიდან გამომდინარე პარტიის ლიდერი, დღევანდელი თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ჯერ კიდევ 2011 წელს შეეცადა სამხედროების შეზღუდვას, რაც ნაწილობრივ გააკეთა კიდეც.

2016 წელს, თურქეთში ბოლო სამხედრო გადატრიალების მცდელობა თურქი სამხედროებისათვის მარცხით დამთავრდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია, რომ თითქოს აღნიშნული სამხედრო გადატრიალების მცდელობა თურქეთის პრეზიდენტმა წიანსწარ იცოდა და მას ეს სჭირდებოდა თურქი სამხედროების შეზღუდვისათვის. ამ სამხედრო გადატრიალების მცდელობიდან ძალიან მალე, ბევრი სამხედრო მაღალჩინოსანი (ამასთანავე ექიმები, პედაგოგები და აშშ) დაპატიმრებულ ან დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. ამის შემდეგ თურქი სამხედროების მიერ გადატრიალების მცდელობა თითქმის განეიტარალებულია და ამ ხრივ „საშიშროება“ ერდოღანის ხელისუფლებისათვის მოიხსნა.

საკვანძო სიტყვები:
თურქეთი, სეკულარიზმი, ქემალიზმი, სამხედროები, გადატრიალება.

THE 2016 MILITARY COUP ATTEMPT IN TURKEY AND ITS RESULTS

CAPTAIN KHVICHA KHOZREVANIDZE
AN OFFICER OF THE S-3 JUNKERS' TRAINING BATTALION OF THE NATIONAL DEFENSE ACADEMY.
PHD STUDENT OF POLITICAL SCIENCE DOCTORAL EDUCATIONAL PROGRAM OF THE FACULTY OF SOCIAL SCIENCES AT CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY.

SUPERVISOR: **MAIA KAPANADZE**
DOCTOR OF HISTORY SCIENCES.
ASSOCIATED PROFESSOR AT CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY.
HEAD OF THE SCIENTIFIC-ANALYTICAL CENTER OF GEORGIA AND IRAN.

ABSTRACT

The militaries played an important role in Turkish politics. In particular, they actively interfered in the political life of Turkey. The reason for this was that they appeared as the most active defenders of the idea of Kemalism. It is true that the Republic of Turkey is a secular country, but the vast majority of its population is Muslim. Hence, very soon after the death of Mustafa Kemal in, Muslim political parties came to the fore in Turkish politics, trying more and more to establish themselves in the politics of the country and, consequently, to limit secularism. The Turkish military could not tolerate the attempts of Muslim parties to seize power. As faithful defenders of the Kemalist ideology, they often overthrew such governments. A similar case occurred 4 times in Turkey in the last century.

Turkey's present ruling party "Justice and Development Party" (AKP) is a follower of moderate Islamist. Therefore, the leader of the party, the current President of Turkey, Recep Tayyip Erdogan, tried to restrict the militaries yet in 2011, which he fulfilled partially.

In 2016, in the latest military coup attempt in Turkey, the Turkish militaries failed. One of the reasons for this is thought as if the Turkish president knew about the attempted of the military coup in advance and he needed it to limit the Turkish militaries. Very soon after this military coup attempt, many high-ranked military officials (including doctors, teachers, and the U.S.) were arrested or fired form their working places. After that, the coup attempt by the Turkish military was almost neutralized and in this way the "threat" to Erdogan's government was removed.

KEYWORDS:
Turkey, secularism, Kemalism, military, coup.

შესავალი

თურქეთი არის სეკულარული ქვეყანა მას შემდეგ, რაც თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადა. ეს აღნიშნული არის თურქეთის კონსტიტუციის პრეამბულაშიც. მუსტაფა ქემალ ათათურქის მოსწონდა ლაიციზმი. ეს იყო უნიკალური მოდელი სეკულარიზმის. მას სურდა რელიგიის კონტროლი და მისი ტრანფორმირება, რის შედეგადაც, ისლამს აღარ ჰქონოდა ინსტიტუციური ძალაუფლება ქვეყნის სახელისუფლებო შტოებზე. ამ ყველაფერს მოყვა საუკუნოვანი ხალიფატის გაუქმება და რელიგიური საქმეების სამართველოს შექმნა, რომლის მიზანი იყო კანონის ფარგლებში განეხორციელებიათ სხვადასხვა საკითხები, რომლებიც რელიგიასთან იყო დაკავშირებული. მუსტაფა ქემალ ათათურქის იდეოლოგიის მიმდევრები ფიქრობდნენ, რომ რწმენა უფრო მნიშვნელოვანი არის, ვიდრე მისი ფიზიკურად გამოხატულება, რასაც მოყვა რელიგიურ ფიზიკური გამოხატულების ცვლილებები.

თურქეთი მუსლიმური სახემწიფოა, მისი მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა მუსლიმია. აქედან გამომდინარე, მიუხედავად სეკულარიზმისა თურქეთის პოლიტიკაში, მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისლამი, როგორც პოლიტიზირებული რელიგია. ისლამური პარტიები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერდა, რომელთაც სურდათ გადაეხვიათ ქემალიზმის იდეოლოგიისაგან, რასაც მოჰყვა ყველაზე დიდი წინააღმდეგობა თურქეთის არმიისაგან. ის არის ყველაზე ერთგული ქემალიზმის იდეოლოგიის. ის როგორც დომინანტი ძალა ქვეყანაში, არავის აძლევს უფლებას პოლიტიკურ პარტიებსა თუ სამთავრობო ინსტიტუტებს გადაუხვიონ ქემალიზმის იდეოლოგიას. წინააღმდეგ შემთხვევაში აწყობდა სამხედრო გადატრიალებებს და ახდენდა ხელისუფლებიდან ჩამოეშორებინა არასასურველი „ისლამური პარტიები“ . ბოლო სამხედრო გადატრიალების მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, რომელსაც თავის მიზეზები ქონდა.

პრეზიდენტ რეჯებ თაიფ ერდოღანის პოლიტიკა თურქი სამხედროების მიმართ

თურქეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რეჯებ თაიფ ერდოღანიმ „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიასთან (სგპ) ერთად, კიდევ ერთ დიდ წარმატებას მიაღწია, როდესაც 2011 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა[1] და უფრო გაიმყარა პოზიციები საკუთარი პოლიტიკის გასატარებად. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სეკულარიზმისა და სამხედროების პოლიტოკური გავლენის შესუსტება ქვეყანაში. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თურქეთში ყველაზე აქტუალური საკითხი იყო საკონსტუტიციო ცვლილებები. ამ აქტუალურ საკითხს მოსახლეობის უმეტესობა მხარს უჭერდა, რომელიც რეფერენდუმის შედეგი იყო. კონსტიტუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სამხედროების პოლიტიკური გავლენის შესუსტებას. მათი გავლენა იმდენად ძლიერი იყო ქვეყანაში, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში მათ 4-ჯერ შეცვალეს მთავრობები, რომლებმაც ქემალისტურ პოლიტიკას გადაუხვიეს, სამხედრო გადატრიალების გზით.

2007-2012 წლებში, სამხედრო მაღალი რანგის ოფიცრების საქმიანობასთან დაკავშირებული გამოძიების დროს, 500-მდე გენერალი და სხვა სამხედრო მოსამსახურეები დააკავეს. მიზეზად განიხილავდნენ მათგან სახემწიფოში არასტაბილური სიტუაციის შექმნასა და ახალი სამხედრო გადატრიალებისთვის მზადებას. ამის გარდა ხელისუფლება ცდილობდა გავლენა მოეხდინა სამხედრო გენერალიტეტზე, რაც გამოიხატებოდა მათი „საქმეების შეთითხნით“, რის შემდეგაც ან ათავისუფლებდნენ ან იჭერდნენ იმ სამხედროებს ვინც მათ პოლიტიკას არ გაატარებდნენ. სამხედროებსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობა ჩიხში შევიდა, რასაც მოყვა თურქეთის პრეზიდენტის მიერ შეიარაღებული ძალების ახალი უმაღლესი ხემძღვანელების დანიშვნა. გენერალიტეტის შესუსტებასთან ერთად გაძლიერდა „რელიგიურ ლიდერთა ერთობის“ ორგანიზაცია. „რელიგურ საქმეთა სამართველო“ ერთ-ერთი გავლენიან სტრუქტურად იქცა, მათ განახორციელეს რელიგიის სავალდებულო საგნად შეტანა სამხედრო სასწავლებლებსა, სკოლებსა და უნივერსიტეტებში. ასევე, 7300 მეჩეთის აშენეს ბოლო 10 წლის განმავლობაში.[2]

რეჯებ თაიფ ერდოღანმა შეძლო თავისი პოლიტიკით დაესუსტებინა სეკულარიზმი და ამავე დროს, სამხედროების გავლენა ქვეყანაში, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა განახორციელებინა ქემალიზმის იდეოლოგიისგან განსხვავებული პოლიტიკა.

1 მაკარაძე ე. „თურქეთის ისტორია 1918-2017 წლები“, თბ., 2019წ, გვ246.
2 მაკარაძე ე. „თურქეთის ისტორია 1918-2017 წლები“, თბ., 2019წ, გვ264.

2016 წლის სამხედრო გადატრიალება

სამხედრო გადატრიალების დაგეგმვასა და განხორციელებას თავის მიზეზები ქონდა. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოქმედი მთავრობის მიერ მაღალი რანგის მქონე სამხედრო მოსამსახურეების უმიზეზოდ განთავისუფლება სამსახურიდან ან იძულება არსებული პოლიტიკის გატარების, რაც მიუღებელი იყო თურქი სამხედრო მოსამსახურეებისათვის. მეორე მიზეზი არის ისლამის გაძლიერება ქვეყანაში და სეკულარიზმის შესუსტება. ასევე, ერდოღანს სურდა თავისუფალი მედიისა და ინტერნეტ სივრცის კონტროლი, რის გამოც განახორციელეს რეპრესიები. აღნიშნული მიზეზების სრულყოფილად განხორციელების შემთხვევაში ერდოღანს საშუალება ეძლეოდა განეხორციელებინა თავისი პოლიტიკა, რომელიც განსხვავებული იყო ქემალიზმის იდეოლოგიისაგან.

თურქეთში უკანასკნელი სამხედრო გადატრიალება დაიწყო 2016 წლის 15 ივლისს როდესაც, მეამბოხეებმა მძევლად აიყვანეს თუქეთის სამხედრო შტაბის მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები. მათ შორის თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი, სახმელეთო ჯარების მეთაური და საჰაერო ძალების მეთაური (დაახლოებით 21:00საათი). შემდეგ სამხედრო თვითფრინავებმა დაიწყეს დედაქალაქ ანკარის საჰაერო სივრცესში მოძრაობა. პარალელურად მოხდა ქალაქ სტამბულის ფათიჰ სულთან მეჰმედის ხიდისა და ბოსფორის ხიდის დაკეტვა (23:00 საათი). თურქული მედია ავრცელებდა კადრებს თუ ქალაქებში როგორ შედიოდნენ ტანკები და იკავებდნენ ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტებს, მათ შორის „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ოფისი. ასევე, მოხდა სტრატეგიული ობიექტების საჰაერო დაბომბვა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი იყო პარლამენტის შენობა. მეამბოხეებმა დაიკავეეს ქალაქ სტამბულის ტაქსიმის მოედანი, რომელიც ქალაქის ცენტრია და პარალელურად დაიკავეს თურქეთის სახემწიფო ტელე-რადიო მაუწყებელის (TRT) შენობა. თურქეთის მოსახლეობას მიმართეს პირდაპირ ეთერში მათ, რომ „დემოკრატიული და სეკულარული კანონის უზენაესობა უკვე დაინგრა დღევანდელი ხელისუფლების დროს“ და რომ თურქეთის სათავეში მოვიდა თურქეთის მშვიდობის საბჭო, რომელიც “უზრუნველმყოფს მოსახლეობის უსაფრთხოებას”.[3] განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ „თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები მთლიანად აკონტროლებენ და განაგებენ ყველა სტრატეგიულ ადმინისტრაციულ შენობებს, ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით, ასევე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, კანონის უზენაესობის და ზოგადი უსაფრთხოების აღსადგენად, რომელიც არ არის დაცული. აგრეთვე ყველა საერთაშორისო შეთანხმებები კვლავ ძალაშია.[4] ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კარგი ურთიერთობები ყველა ქვეყანასთან კვლავ გაგრძელდება“. მეამბოხეებმა ასევე განაცხადეს, რომ მათ „ეს გააკეთეს იმის გამო, რომ შენარჩუნდეს დემოკრატიული წესრიგი და დაცულ იქნას კანონის უზენაესობა, რომელიც პრიორიტეტულია“. განცხადებაში ასევე აღნიშნულია დროებითი სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება. აგრეთვე მათ განაცხადეს, რომ უმოკლეს დროში მზად იქნება თურქეთის ახალი კონსტიტუცია. ამის შემდეგ TRT გაითიშა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა დაგმო გადატრიალების მცდელობა, როგორც დემოკრატიაზე თავდასხმა. ასევე განაცხადა, რომ ერდოღანი და მისი მთავრობა კვლავ ხელისუფლებაშია.[5]

თურქეთის პრეზიდენტმა, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა შვებულებაში საზღვარგარეთ ღამის 1 საათზე პირდაპირ ეთერში გააკეთა განცხადება. მან მოუწოდა თავის მომხრეებს ქუჩაში გამოსვლისკენ, სამხედრო კომენდანტის საათის მიუხედავად, ასევე მან თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ “არ არსებობს ძალა უფრო მაღალი, ვიდრე ძალა მოსახლეობისა. დაე, გააკეთონ რაც უნდათ მოედნებსა და აეროპორტებში.[6]

დიდ ქალაქებში თურქეთის მოსახლეობამ მასობრივად დაიწყო ქუჩაში გამოსვლა პროტესტის ნიშნად და ეხმარებოდა პოლიციას კანონის აღდგენაში. იყო სროლები ქალაქის უბნებში, ხდებოდა ტანკებით სტრატეგიული შენობა-ნაგებობების განადგურება. მეაობოხეებმა დაკარგეს უპირატესობა ინფორმაციული გავრცელების თვალსაზრისით, როდესაც ჟურნალისტმა ისაუბრა პირდაპირ ეთერში თუ როგორი შანტაჟის ქვეშ მოახდინა მეამბოხეების მიმართვის გავრცელება. მეამბოხე ჯგუფებს ემჩნეოდათ, რომ ბოლომდე არ იყვნენ ინფორმირებული ამ სამხედრო გადატრიალების შესახებ. მათ დაინახეს თურქული მოსახლეობის ღელვა და წინააღმდეგობა, რის შემდეგადაც ცალკეულმა ჯგუფებმა დაყარეს იარაღი და ჩაბარდნენ პოლიციას. ძალოვანმა სტრუქტურებმა მალევე შეძლეს არსებული სიტუაციაზე კონტროლის აღდგენა და მეამბოხე ჯგუფების განეიტრალება. ფაქტობრივად აღნიშნული სამხედრო გადატრიალება დამარცხდა.

სამხედრო გადატრიალების მარცხის მთავარი მიზეზი იყო პუტჩიტებს შორის ქაოსი. ინფორმაცია სამხედრო

3 http://onedio.com/haber/tijen-karas-bildiriyi-silah-zoru-altinda-okudum-hayatimin-en-zor-yayiniydi--721477
4 https://www.theguardian.com/world/live/2016/jul/15/turkey-coup-attempt-military-gunfire-ankara
5 https://www.theguardian.com/world/live/2016/jul/15/turkey-coup-attempt-military-gunfire-ankara
6 https://www.theguardian.com/world/live/2016/jul/15/turkey-coup-attempt-military-gunfire-ankara?page=with:block-57895c1ae4b033b-610b6e3fc#block-57895c1ae4b033b610b6e3fc

გადატრიალების შესახებ გაიგო თურქეთის ეროვნული დაზვერვის ორგანიზაციის ხემძღვანელმა, რის გამოც მოულოდნელად მოუწიათ მეამბოხეებს ოპერაციის დაწყება 6 საათით ადრე. შემდეგი მიზეზი იყო ოპერაციის დაწყების დროს მეამბოხეთა ლიდერის გენერალი სემიჰ თერზის მკვლელობა უმცროსი ოფიცრის მიერ, რამაც გამოიწვია მეამბოხეთა დემორალიზაცია და ოპერაციის არაკოორდინირებული მართვა.[7]

ასევე მეამბოხეებმა ვერ შეძლეს თურქეთის პრეზიდენტისა და მაღალი რანგის, თანამდებობის პირების მოკვლა ან დაკავება, რადგან ეროვნული დაზვერვის ხემძღვანელობამ ყველა მნიშვნელოვან პიროვნებას მიაწოდა არსებული ინფორმაცია სამხედრო გადატრიალების შესახებ და უზრუნველყო მათი უსაფრთხოება. მეამბოხეებმა ვერ შეძლეს გაეკონტროლებიათ მასმედია, საკაბელო და სატელიტური კომუნიკაციები ხოლო მთავრობამ შეძლო სატელიტური კომუნიკაციების სწორი კონტროლი და მართვა. თურქეთის ყველა მოქალაქეს გაუგზავნეს ტექსტური შეტყობინება, რომ გაეპროტესტებინათ გადატრიალების მცდელობა.

ბოლო მონაცემებით სამხედრო გადატრიალების დროს დაიღუპა 300 ადამიანი, აქედან 161 ადამიანი მშვიდობიანი მოქალაქე ან პოლიციელი იყო და დანარჩენი კი მეამბოხეთა რიგებიდან. თურქეთის პრეზიდენტმა მომხდარიდან სულ მალე სამხედრო გადატრიალების მცდელობასა და ორგანიზატორობაში დაადანაშაულა ყოფილი იმამი ფეთჰულა გიულენი, რომელიც იქამდეც არაერთხელ ყოფილა ეჭვმიტანილი. მინდა ხაზგასმით ავღნიშნო რომ, ერდოღანი და გიულენი ერთ დროს პარტნიორები იყვნენ. გიულენს დიდი გავლენა ქონდა თურქეთში, რომლითაც დაეხმარა ერდოღანს საპარლამენტო არჩევნების მოგებაში, მაგრამ 2013 წელს კორუფციის სკანდალის შემდეგ მათ შეწყვიტეს ურთიერთობა.

თურქეთის მთავრობა მეამბოხეებს უწოდებს გიულენის მომხრეებს, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში ქონდათ მიზნად მოქმედი ხელისუფლების დამხობა. ამბოხების დასრულების შემდეგ, ქვეყანაში დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები იმათი, ვინც კი ეჭვმიტანილი იყო სამხედრო გადატრიალებაში. „გაწმენდის პროცესი“ შეეხო 45000 სამხედრო პირს, გუბერნატორებს, პოლიციელებს და მოსამართლეებს, რომლებიც დაპატიმრეს, ან განთავისუფლეს სამსახურებიდან. ასევე დაიწყო მასობრივი გათავისუფლება მასწავლებლებისა და უნივერსიტეტების თანამშრომლებისა.[8]

თურქეთის სამხედრო მოსამსახურეთა გარკვეული ნაწილი, რომელთაც მეამბოხეობაში ედებოდათ ბრალი, ან მონაწილეობდნენ მასში, ითხოვდნენ პოლიტიკურ თავშესაფარს საბერძნეთის სახემწიფოსგან, რაზეც თანხმობა მიიღეს. თურეთის საგარეო სამეთა მინისტრმა მოითხოვა მათი ექსტრადირება, მაგრამ ეს საკითხი დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

2016 წლის 17 ივლის ვიკილიქსმა გამოაქვეყნა თურქული ელექტრონული წერილები და დოკუმენტები საჯაროდ მათ შორის სგპ-ს, სადაც აღწერილი იყო სამხედრო გადატრიალების, შემდეგ მთავრობის, მიერ განხორციელებული რეპრესიები.

გარკვეული მოსაზრებები და მტკიცებულებები არსებობს, იმის შესახებ, რომ ეს სამხედრო გადატრიალება დაგეგმილი იყო წინასწარ, თურქეთის პრეზიდენტის მიერ. ვარაუდობენ პუჩისტების ერთ-ერთი ლიდერის კავშირს ერდოღანთან.[9] ვფიქრობ ალბათ შეუძლებელია ოპერაციის დასრულებიდან ორ დღეში დააპატიმრო და სამსახურიდან გაათავისუფლო ათასობით ადამიანი, თუ ეს წინასწარ არ გაქვს განსაზღვრული. ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ერდოღანის მიზანი იყო ძალაუფლების გაფართოება,სეკულარიზმის დასასუსტება და თურქეთის არმიაში „წმენდის“ განხორციელება მისისრული დამორჩილების მიზნით.

სამხედრო გადატრიალების მცდელობას დიდი რეაქცია მოჰყვა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ნატო-ში ფიქრობდნენ, რომ ნატო თურქეთის ურთიერთობა უნდა გადაიხედოს. ნატოს ერთ- ერთი მოთხოვნაა დემოკრატიული ინსტიტუტების პატივისცემაა ქვეყანაში. ნატო-ს მაშინდელმა გენ.მდივანმა იანს სტოლტენბერგმა სამხედრო გადატრიალების, შემდეგ პირველი ვიზიტის დროს დაადასტურა, რომ ეს ქვეყანა ისევ ითვლება ნატო-ს სტრატეგიულ პარტნიორად. თურქეთის სამხრეთით განლაგებული ინჯილიკის ბაზა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტია ISS–თან ბრძოლაში. თუმცა თურქეთმა ეს სამხედრო ბაზა დახურა გარკვეული პერიოდი, სამხედრო გადატრიალების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ნატოს თურქეთი სჭირდება და ეს ფაქტია.[10]

სამხედრო გადატრიალების შემდეგ დაწყებულ რეპრესიებთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება გააკეთეს აშშ-ისა და საფრანგეთის მთავრობების წარმომადგენლებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ შეეწყვიტათ დარბევის პროცესი, რადგან პოლიტიკური სისტემა შორდება დემოკრატიულ სტილს.

---

7 https://www.al-monitor.com/originals/2016/07/turkey-coup-attempt-intelligence-agency-thwart.html

8 https://www.washingtonpost.com/world/turkey-jails-generals-as-post-coup-purge widens/2016/07/19/db076c84-4d1f-11e6-bf27-405106836f96_story.html

9 https://www.independent.co.uk/news/world/turkey-coup-conspiracy-theory-erdogan-military-gift-god-soldiers-istanbul-a7140516.html

10 სიგუა.შ, „ნატო-თურქეთის ურთიერთობა“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი, თბ., 2019წ., 14გვ.

დასკვნა

უკანასკნელი სამხედრო გადატრიალების მცდელობა თურქეთში მარცხით დასრულდა, განსხვავებით წინა სამხედრო გადატრიალებებისა. ამას თავისი არაერთი მიზეზი ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამხედრო გადატრიალების მარცხის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ამის შესახებ თურქეთის ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა. ერდოღანს ის ჭირდებოდა იმისათვის, რათა სამხედროების გავლენა თურქეთში შეესუსტებინა, რაც მას საშუალებას მიცემდა საკუთარი ძალაუფლება განემტკიცებინა ქვეყანაში. ამის მიზეზი არის ის, რომ დღევანდელი მართველი პარტია ზომიერი ისლამისტურია, რაც მიუღებელია ქემალიზმის იდეების ერთგული თურქი სამხედროებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბატიაშვილი ზ. „თანამედროვე თურქეთი“,თბ., 1998წ.
- მაკარაძე ე. „თურქეთის ისტორია 1918-2017 წლები“, თბ., 2019წ.
- მაკარაძე ე. „თურქეთის ისტორია 2000-2015 წლები“, თბ., 2016წ.
- სვანიძე მ. „თურქეთის ისტორია“, გამომცემლობა „არტანუჯი“ თბ., 2007წ.
- სიხარულიძე გ. „სეკულარიზმის დილემა თურქეთში: თანამედროვე გამოწვევები“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი კვლევითი დოკუმენტი თბ., 2017 წელი.
- http://onedio.com/haber/tijen-karas-bildiriyi-silah-zoru-altinda-okudum-hayatimin-en-zor-yayiniydi--721477
- https://www.theguardian.com/world/live/2016/jul/15/turkey-coup-attempt-military-gunfire-ankara
- https://www.theguardian.com/world/live/2016/jul/15/turkey-coup-attempt-military-gunfire-ankara
- https://www.theguardian.com/world/live/2016/jul/15/turkey-coup-attempt-military-gunfire-ankara?page=with:block-57895c1ae4b033b-610b6e3fc#block-57895c1ae4b033b610b6e3fc
- https://www.al-monitor.com/originals/2016/07/turkey-coup-attempt-intelligence-agency-thwart.html
- https://www.washingtonpost.com/world/turkey-jails-generals-as-post-coup-purge-widens/2016/07/19/db076c84-4d1f-11e6-bf27-405106836f96_story.html
- https://www.independent.co.uk/news/world/turkey-coup-conspiracy-theory-erdogan-military-gift-god-soldiers-istanbul-a7140516.html